

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №13

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

15 ივლისი 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგობერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

**მოწვეული პირი:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭიეიშვილი**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია**.

სხდომა 13<sup>00</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2020 წლის 15 ივლისის ბიუროს სხდომის

**დღის წესრიგი**

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის #27 49 განკარგულებაში ცვლილებადამატების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭიეიშვილი.

2.ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6-თვის შესრულების მონაცემებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

3.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

4.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: ტარიელ ბარამიძე

5.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: გიგა გოგიბერიძე

6.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: რამაზ არველაძე

7.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: კობა ტოხვაძე

8.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2020 წლის 15 ივლისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მამუკა ნამიჭივილიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის #27 49 განკარგულებაში ცვლილება დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულების დანართს დაემატა ვანის მუნიციპალიტეტის 11 საბავშო ბაღის რეაბილიტაცია (სველი წერტილების და სამზარეულოების მოწყობა) ღირებულებით 155 000 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6-თვის შესრულების მონაცემებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ;“

მომხსენებელმა მოკლდ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, N27 დადგენილებით. შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ოთხჯერ განხორციელდა ცვლილება, რაც განაპირობა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებამ. ბიუჯეტის მოქმედი რედაქციით შემოსულობები შეადგენს 14272,0 ათას ლარს, გადასახდელები 15596,1 ათას ლარს, ნაშთის ცვლილება 1324,1 ათას ლარს.

2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 14172,0 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 7277,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 6879,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 48,5% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,5% ს შეადგენს.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ (გელა ჩიკვაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში კომისიამ 6-ჯერ ჩაატარა სხდომა, განხილულია 19 საკითხი. აქედან კომისიის სხდომაზე განხილული 19 საკითხიდან საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 17 საკითხი. მიღებული იქნა 2 განკარგულება და 12 დადგენილება.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 5 სხდომა, განხილულია 6 საკითხი. აქედან საკრებულოს სხდომაზე გატანილია 4 საკითხი და მიღებულია 4 დადგენილება.

კომისიის სხდომების რაოდენობა მეტი იქნებოდა, რომ არა პანდემიის გამო შექმნილი ვითარება.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგობერიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 6 თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა 7 კომისიის სხდომა სადაც განხილული არის 11 საკითხი.

კომისიის სხდომების რაოდენობა მეტი იქნებოდა, რომ არა პანდემიის გამო შექმნილი ვითარება.

კომისიის სხდომაზე განხილული 11 საკითხიდან საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 9 საკითხი და მიღებული იქნა 9 განკარგულება.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა რამაზ არველაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;“ მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 6 თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა 4 კომისიის სხდომა სადაც განხილული არის 6 საკითხი და წარმოადგინა ეს საკითხები.

კომისიის სხდომების რაოდენობა მეტი იქნებოდა, რომ არა პანდემიის გამო შექმნილი ვითარება.

კომისია შედგება 11 წევრისგან, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან კომისიის სხდომებს.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა ტოხვაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2020 წლის 6-თვეში გაწეული მუშაობის შესახებ; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 6 თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა 4 კომისიის სხდომა სადაც განხილული არის 5 საკითხი. კომისიის სხდომების რაოდენობა მეტი იქნებოდა, რომ არა პანდემიის გამო შექმნილი ვითარება. კომისია შედგება 8 წევრისგან, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან კომისიის სხდომებს.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით ალექსანდრე ლილუაშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;“

მომხსენებელმა მოკლედ წარმოადგინა საკრებულოს მესამე კვარტალში განსახილველი და მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები, მოსასმენი და განსახილველი ანგარიშები.

მისაღები ნორმატიული აქტებია:

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ბაზრებისა და ბაზრების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.
2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ.
3. 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტული ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე